საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

19 დეკ 2024 წ.

KA000035269530324

№ **2024/7420**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ანრი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] საქმე, [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში მის მიმართ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, მისთვის შესაბამისი დოკუმენტების არგაცნობის, ასევე, ახსნა-განმარტების მიცემის, ადვოკატის მოწვევისა და შესაბამისი განკარგულების გასაჩივრების უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

ფაქტობრივი გარემოებები

2024 წლის 13 სექტემბერს, [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს [redacted] აღნიშნა, რომ 2024 წლის 6 სექტემბერს დაწერა განცხადება ვიდეოპაემნით სარგებლობის მოთხოვნის შესახებ, რაც გადასცა სოციალურ მუშაკს. შეხვედრის დროისთვის, მას არ ჰქონდა ინფორმაცია, დაკმაყოფილდა თუ არა მისი განცხადება და როდის ჩაენიშნა კუთვნილი ვიდეოპაემანი.

2024 წლის 30 სექტემბერს, უკვე [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრის დროს,[1] [redacted] განმარტა, რომ [redacted] პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული N20/332574 წერილით ეცნობა მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების თაობაზე, რის გამოც ვიდეოპაემნით სარგებლობაზე უარი ეთქვა. მისივე თქმით, ვინაიდან, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ მისთვის ცნობილი არ იყო, მოითხოვა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთან შეხვედრა. როგორც შეხვედრის დროს გაარკვია, დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას საფუძვლად დაედო 2024 წლის 5 სექტემბერს, მის მიერ გამოწვეული ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას.

[redacted] განმარტებით, მას კანონით დადგენილი წესით, არ გააცნეს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოებული დოკუმენტები და არ მისცეს დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა [redacted] მიმართ [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების თაობაზე წარმოებული დოკუმენტები.[2] მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ [redacted] პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 6 სექტემბრის განკარგულების მიხედვით, [redacted] 2024 წლის 5 სექტემბერს, დაახლოებით 19:50 საათზე, საკანში გამოიწვია ხმაური, კერძოდ, ფეხს ურტყამდა კარს, ყვიროდა ხმამაღლა. თანამშრომლის მოწოდებაზე, შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, რეაგირება არ მოახდინა და მის მიმართაც გამოხატა აგრესია.[3]

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოებულ დოკუმენტებში დარღვევა დადგენილია მხოლოდ [redacted] პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ორი ინსპექტორ-კონტროლიორის ახსნა-განმარტებით. ამასთან, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის მიერ შედგენილი ოქმით, [redacted] გაეცნო თავის უფლებებს დისციპლინური დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, რის შემდეგაც, მან უარი განაცხადა უფლებების გაცნობის ოქმზე ხელისმოწერასა და წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემაზე.[4] იმავე პირების მიერ, 2024 წლის 6 სექტემბერს შედგენილი ოქმით, [redacted] გააცნეს დირექტორის განკარგულება დისციპლინური სახდელის დადების შესახებ, რის შემდეგაც მსჯავრდებულმა განკარგულების ასლების ჩაბარებასა და ხელის მოწერაზე უარი განაცხადა.

სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა [redacted] პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და გამოითხოვა ინფორმაცია, განხორციელდა თუ არა, კანონმდებლობით დადგენილი წესით,[5] დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებად გამოყენების მიზნით, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესაბამისი ვიდეო მასალის დაარქივება და აღნიშნული მასალის [redacted] გაცნობა.[6] მიღებული პასუხის თანახმად, [redacted] მიერ, **დისციპლინური დარღვევის ჩადენის ფაქტი, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებით არ იქნა დაფიქსირებული, რაც გამორიცხავს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებად გამოყენების ფაქტს**. იმავე პასუხის თანახმად, [redacted] ვიდეოპაემნით სარგებლობის მოთხოვნის შესახებ, დაწესებულების ადმინისტრაციას მიმართა 2024 წლის 11 სექტემბრის N01/331463 განცხადებით, ხოლო პასუხი მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, მსჯავრდებულს ჩაბარდა 2024 წლის 13 სექტემბერს.

სახალხო დამცველის რწმუნებული, [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში გარემოებების სრულად დადგენის მიზნით, შეხვდა და ესაუბრა [redacted] თანასაკნელ [redacted], რომელიც მსჯავრდებულის [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში ეტაპირებამდე, განთავსებული იყო, ასევე, [redacted] საკანში. [redacted] განმარტებით, მას არ ახსენდება 2024 წლის 5 სექტემბერს [redacted] დაკავშირებით რაიმე ინციდენტი, თუმცა, **ზუსტად ახსოვს, რომ [redacted] დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე რაიმე ინფორმაცია არ მიუწოდებიათ და რაიმე დოკუმენტზე ხელის მოწერა არ შეუთავაზებიათ.** ამასთან, [redacted] გადმოცემით, [redacted] არ იცოდა და მხოლოდ [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში ეტაპირებამდე 1 დღით ადრე გახდა მისთვის ცნობილი დისციპლინური ღონისძიების დაკისრების შესახებ.[7]

სამართლებრივი დასაბუთება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, დისციპლინური სასჯელის გამოყენების შემთხვევაში, **აუცილებელია, პატიმარს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის წაყენებული ბრალის სასიათის შესახებ და მიეცეს ადეკვატური დრო, მოემზადოს დაცვისთვის**.[8]

ამასთან, ციხის ევროპული წესების თანახმად, **დისციპლინური სასჯელის დაკისრების დროს პატიმარი უნდა იყოს უფლებამოსილი, დაიცვას თავი თვითონ ან ადვოკატის შეშვეობით, როდესაც სამართლიანობის ინტერესები ამას მოითხოვს**.[9]

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს".[10]

პენიტენციური კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი.[11] კოდექსი სრულყოფილად ადგენს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების პროცესში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონაწილეობის უფლებას და გარანტირებულად განსაზღვრავს, რომ **ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება უფლება – მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის**

ამასთან, **დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ერთი ასლი მისი გამოცემისთანავე გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს.**[13]

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატს 2019 წელს სისტემურად აქვს შესწავლილი საქართველოში პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა, რომლის მიხედვით, გამოკვეთილ პრობლემებს წარმოადგენდა:[14

- პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ;
- დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობიან ნეიტრალურ მტკიცებულებებს;
- არ ჩანს ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობა;
- განკარგულებებში მხოლოდ ფორმალურად და შაბლონურად მიეთითება კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე, არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია იმ ფაქტის შესახებ, რომელიც პატიმრის მხრიდან გადაცდომად ჩაითვალა;
- საქმეთა დიდ უმრავლესობაში არ მოიპოვება პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტება/პოზიციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;
- არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ პატიმარს ეცნობა დისციპლინური ბრალდების შესახებ ინფორმაცია;
- არცერთი განკარგულება პატიმარს არ ჩაბარებია.[15]

აღსანიშნავია, რომ მითითებული ხარვეზები ინდივიდუალურ საქმეებში მომდევნო წლებშიც შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა, რაც ასახულია შესაბამის ანგარიშებში.[16]

წინამდებარე საქმის ანალიზი

ყველა სათანადო დოკუმენტისა და ახსნა-განმარტების ანალიზის შედეგად, **მაღალი ალბათობით დასტურდება, რომ [redacted] პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლებს შესაბამისი წესით არ გაუცნიათ 2024 წლის 6 სექტემბერს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოებული მასალები, არ შეუთავაზებიათ განხილვაში მონაწილეობის მიღება, ახსნა-განმარტების მიცემა, არ მიუწოდებიათ ინფორმაცია დისციპლინური ბრალდების შესახებ, არ ჩაბარებია შესაბამისი განკარგულება, რითაც მსჯავრდებულს დაერღვა მისი გასაჩივრების უფლება.**

მოცემულ საქმეში საყურადღებოა რამდენიმე გარემოება, რაც შესაბამისად უნდა იქნეს გამოკვლეული და შეფასებული:

- 2024 წლის 13 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს, [redacted] ჯერ კიდევ არ ჰქონდა ინფორმაცია, მის მიმართ 2024 წლის 6 სექტემბერს გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების შესახებ და მსჯავრდებული ვიდეოპაემნით სარგებლობის თაობაზე 2024 წლის 6 სექტემბერს დაწერილ განცხადებაზე პასუხის მიღებას ითხოვდა;
- [redacted] მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების, ახსნა-განმარტების მიცემის, წარმოებაში მონაწილეობის მიღების, ადვოკატის აყვანის და სხვა სათანადო უფლებების გაცნობის, ასევე, წარმოებული მასალების გადაცემის შეთავაზების ფაქტს უარყოფს მსჯავრდებულის თანასაკნელი;
- საყურადღებოა, რომ [redacted] ყოფილ თანამესაკნე [redacted] შეხვედრა სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შედგა მას შემდეგ, რაც თავად [redacted] დაწესებულებაში აღარ იმყოფებოდა და ეტაპირებული იყო [redacted] დაწესებულებაში. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შემოწმებისას, ეს ორი პატიმარი აღარ იმყოფებოდნენ ერთამენთთან კომუნიკაციაში, ცხადია, არსებითად ზრდის [redacted] მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიმართ სრულ სანდოობას;
- ასევე, საგულისხმოა, რომ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ დაწესებულების დირექტორის განკარგულების მიხედვით, [redacted] საკანში გამოიწვია ხმაური, კერძოდ, ფეხს ურტყამდა კარს, ყვიროდა ხმამაღლა. აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, მიღებული პასუხის თანახმად, **დისციპლინური დარღვევის ჩადენის ფაქტი, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებით არ იქნა დაფიქსირებული, რაც გამორიცხავს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებად გამოყენების ფაქტს.** გადამოწმებული ინფორმაციით, [redacted] **პენიტენციური დაწესებულების** [redacted] **საკანში ხორციელდება ვიდეომეთვალყურეობა**[17] **და ამდენად, დაარქივებული ვიდეომასალა მნიშვნელოვან ნეიტრალურ მტკიცებულებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული კარზე ფეხების ბრახუნის შემთხვევაში, სამართალწარმოების დროს;**
- მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოებულ დოკუმენტებში **მტკიცებულებად ასახულია მხოლოდ პენიტენციური დაწესებულების 2 თანამშრომლის ახსნა-განმარტება, რომლებიც სიტყვა-სიტყვით იდენტურია, მათში არ არის 1 განსხვავებული სიტყვაც კი;**
- **არ ჩანს ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების რაიმე სახის მცდელობაც. მაგალითად,** [redacted] თანასაკნელებს ან მიმდებარე საკანში განთავსებულ მსჯავრდებულებს, რომლებიც

აღნიშნული ფაქტის თაობაზე;

- ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ [redacted] პენიტენციური დაწესებულების დირექტორის პასუხის თანახმად, [redacted] ვიდეოპაემნით სარგებლობის მოთხოვნის შესახებ, დაწესებულების ადმინისტრაციას მიმართა 2024 წლის 11 სექტემბერს, მაშინ როდესაც, 13 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს, მსჯავრდებული პრეტენზიას გამოთქვამდა 6 სექტემბერს დაწერილ განცხადებაზე, ვიდეოპაემნის ჩანიშვნის თაობაზე პასუხის არმიღების შესახებ.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ [redacted] პენიტენციური დაწესებულების პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, სავარაუდოდ, გამჭირვალედ და კეთილსინდისიერად არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება. შესაბამისმა თანამშრომლებმა დისციპლინური სამართალწარმოება განახორციელეს [redacted] უფლებების ხელყოფით, ვინაიდან, არ ეცადნენ მოეპოვებინათ ნეიტრალური მტკიცებულებები (ვიდეო მეთვალყურეობის მასალა, პატიმრების გამოკითხვა), მსჯავრდებულს სავარაუდოდ არ მიეცა სათანადო შესაძლებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობოდა წარმოების მასალებს, სურვილის შემთხვევაში, მოეწვია ადვოკატი, მიეცა ახსნა-განმარტება, ზეპირი მოსმენის შემთხვევაში, დასწრებოდა სხდომას და შესაბამის ვადაში მიემართა სასამართლოსთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება მსჯავრდებულ [redacted] უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

---

[1] 2024 წლის 18 სექტემბერს [redacted] გადაიყვანეს [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში.

[2] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 8 ოქტომბრის N2024/5270 წერილი.

[3] [redacted] პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 6 სექტემბრის N20/324669 განკარგულება.

[4] 2024 წლის 5 სექტემბრის ოქმი.

[5] პენიტენციური კოდექსის 58-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილი.

[6] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 21 ოქტომბრის N2024/5564 წერილი.

[7] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ [redacted] გასაუბრებისას შედგენილი 2024 წლის 17 ოქტომბრის გასაუბრების ოქმი.

[8] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, წესი N41 (2).

[9] ციხის ევროპული წესები, (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006) N2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით) წესი N57.2 (გ).

[10] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[11] პენიტენციური კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[12] პენიტენციური კოდექსის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[13] პენიტენციური კოდექსის 75-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

[14] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში", 2019 წელი. ანგარიში ასახავს საქართველოს მასშტაბით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში 2018 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით, 1 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით, და 17 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით პერიოდში დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე 307 განკარგულების შესწავლის ანალიზს.

[15] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის თანახმად, პატიმრების მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებათა 49%-ის (151 განკარგულება) შემთხვევაში საერთოდ არ მოიპოვება ინფორმაცია დოკუმენტის ჩაბარების თაობაზე, ხოლო განკარგულებათა მეორე ნახევარზე – 51% (156 განკარგულება) გვხვდება პენიტენციური დეპარტამენტის სამართლებრივი რეჟიმის ოფიცრის შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ

[16] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 69-70; 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 107-108.

[17] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირებული გარემოება.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი